შპს „ვარციხე 2005“

ტექნიკური დავალება

შპს „ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 4-ის საგენერატორო შენობაში არსებული მარცხენა ფლიგელის დაზიანებული შიდა კიბის უჯრედის შეკეთება

1. ზოგადი დახასიათება

შპს“ ვარციხე 2005“-ის კუთვნილი ჰესი 4 – ექსპლუატაციაში შევიდა 1988 წ. ჰესის ტეროტორიაზე განლაგებულია ძირითადი შენობა - ჰესის საგენერატორო შენობა, რომელშიც დამონტაჟებულია ჰესის ძირითადი ელ.ძალოვანი მოწყობილობები - ჰიდროაგრეგტაები და ასევე მათი დამხმარე მოწყობილობები და შედგება 4 სართულიდან: ერთი მიწისზედა სართული - სამანქანო დარბაზი; 3 მიწისქვეშა სართული - სატურბინო დარბაზი, ტექნიკური წყალმომარაგების დარბაზი და სადრენაჟო გალერეა.

სართულები დაკავშირებულია ერმანეთთან შიდა კიბეებით - შენობის მარჯვენა და მარცხენა მხარეს), რომლებიც აგებულია რკინის (მეტალის) ჩარჩოებზე დადგმული ბეტონის საფეხურებით. ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად და წყლის და ნესტის ზემოქმედების შედეგად კიბეები ძლერ არის დაზიანებული - კოროზირებულია, ზიგიერთ ადგილას მეტალის კონსტრუქციები მასიურად გამოსულია მწყოდრიდან.

ელ.მოწყობილობებში უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის მიზნით და დანადგარების უსაფრთხოდ მუშაობის მიზნით აუცილებელია აღნიშნული კიბეების აღდგენა რისთვისაც საჭიროა მათი კაპიტალური შეკეთება.

2. სამუშაოს ადგილმდებარეობა

დასავლეთ საქართველო, იმერეთის რეგიონში წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე განლაგებული ოპერირებადი ვარციხე ჰესების კასკადი, შემდგარი ოთხი იდენტური ჰიდოელექტროსადგურიდან:

ჰესი 3 - სამტრედიის რაიონი, სოფელი ბაში, საკ კოდი 34.09.47.017

3. სამუშაოს მოკლე აღწერა

შესასრულებელი სამუშაო წარმოადგენს არსებული კიბის უჯრედების სრულ დემონტაჟს და ახალი კიბის უჯრედების მონტაჟს, მათ შორის :

- არსებული კიბის უჯრედების კიბის სეფეხურების დემონტაჟი;
- არსებული კიბის უჯრედების კონსტრუქციების დემონტაჟი;
- ახალი მეტალოკონსტრუქცოების (კიბის მარშების) მონტაჟი;
- ბაქნის საყრდენების მონტაჟი;
- ახალი ბაქნის მეტალოკონსტრუქციების მონტაჟი;

- ახალი კიბის საფეხურების დამზადება-დამუშავება და მონტაჟი (საფეხურების მასალა - რკინის ფირფიტა სისქით 3 მმ, ე.წ. „რიფლიონკა“).

- ახალი ბაქნების დამზადება-დამუშავება და მონტაჟი (ბაქანის მასალა - რკინის ფირფიტა სისქით 3 მმ, ე.წ. „რიფლიონკა“).

- მეტალოკონსტრუქციების და კიბის საფეხურების ანტიკოროზიული საღებაით შეღებვა.

შენიშვნა: ახალი კიბის მეტალოკონსტრუქციების მონტაჟის დროს დასაშვებია არსებული მეტალოკონსტრუქციების კვანძების გამოყენება მათი ვარგისიანობის შემთხვევაში.

სატენდერო წინადადებას თან უნდა დაერთოს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის (მასალების და მომსახურეობის ხარჯების) ცხრილი, რომლის მიხედვითაც ტენდერში მონაწილე პრეტენდეტმა უნდა წარმოადგინოს საჭირო მასალებისა და მომსახურეობის დეტალური ღირებულება.

4. დამატებითი მოთხოვნები

- სამუშაოები უნდა განხორციელდეს აღნიშნულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა სრული დაცვით.
- მსგავსი სამუშაოების წარმოების გამოცდილება;
- წარმოდგენა იმ პროექტების, რომელიც ჩატარებულია საქართველოში;

შპს „ვარციხე 2005“-ის ადმინისტრაცია